პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 28 დეკემბერი, 1943 წ. № 267 (6892). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა სამშობლოს დიდებისათვის!

„პრავდის“ მოწინავე — 27 დეკემბერი

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი შეიქმნა სამამულო ომის მრისხანე ბრძოლების ჟამს. იგი გამოხატავს ჩვენი ხალხის სანუკვარ გრძნობებსა და ღრმა აზრებს. მის მესამე სტროფში ნათქვამია:

Мы армию нашу растили в сраженьях,
Захватчиков подлых с дороги сметём!
Мы в битвах решаем судьбу поколений,
Мы к славе Отчизну свою поведём!

ორ წელიწადნახევრის წინათ ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ დაიძრა ყაჩაღური ჰიტლერული ხროვა. გმირ წითელ არმიას მოუხდა ორთაბრძოლის გაძართვა გერმანელთა და მათ პირსისხლიან თანამონაწილეთა საზარელი სამხედრო მანქანის წინააღმდეგ.

იმ საშინელი საფრთხის წინაშე, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას, ერთი წუთითაც არ შემდრკალა საბჭოთა ადამიანების გული, ერთი წუთითაც არ დაუკარგავთ მათ თავიანთი ძალის, თავიანთი შშობლიური წითელი არმიის რწმენა. ჩვენი ქვეყნის ხალხებმა იცოდნენ, რომ მათ ჰყავდათ საიმედო დამცველი, მათ „**თავიანთი ბედი წითელ არმიას მიანდეს და არც მოტყუებულან თავიანთ იმედში**“. (ი. სტალინი).

გმირმა წითელმა არმიამ იხსნა ჩვენი სამშობლო. იგი ერთიანი, მძლავრი საბჭოთა კავშირის საიმედო მცველი და დასაყრდენია. მის ზურგში, რ[illegible]ორც ქვიტკირის კედლით დაცული, ცხოვრობს და შრომობს დიდი რუსეთის მიერ მშიდროდ შეკავშირებული თავისუფალი საბჭოთა რესპუბლიკების ურღვევი კავშირი.

ძლიერი, თავისი ხალხის ერთგული წითელი არმიის შექმნა გამარჯვებული ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი პირველი საქმე იყო. ბოლშევიკების პარტიამ თავისი ჩასახვისთანავე მაღალი შეფასება მისცა იარაღის საპატო როლს ხალხის სამსახურში. მხოლოდ შეიარაღებულ ხალხს შეუძლია მიაღწიოს თავის კანონიერ უფლებათა განხორციელებას, მხოლოდ იარაღით ხელში შეუძლია ხალხს დაამყაროს თავისი ხელისუფლება, საბჭოების ხელისუფლება. ლენინი და სტალინი მუშათა კლასსა და გლეხობას ასწავლიდნენ იარაღის პატივისცემას, უნერგავდნენ გულადობას თავისუფლებისათვის ბრძოლაში, უშიშრობას, ხალხის საქმისადმი უაღრეს ერთგულებას.

წითელი არმია იშვა გერმანელ იმპერიალისტ მტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლებში. კაიზერ ვილჰელმის თავდ-ფეხამდე შეიარაღებული ჯარები 1918 წელს თავს დაესხნენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას, რომელიც ჯერ კიდევ არ მმიგრებულიყო, მაგრამ ძლიერი იყო თავისი მებრძოლური სულისკვეთებით, სიცოცხლისა და თავისუფლებისადმი თავისი დაუცხრომელი მისწრაფებით. გერმანიის სამხედრო მანქანას წინააღუდგნენ წითელი არმიის პირველი შეიარაღებული, ცუდად შეიარაღებულნი, გამოცდილებას მოკლებულნი. მაგრამ მათ მხარეზე იყო სამართლე და სამართლიანობა. მათ ზურგს უმაგრებდა ხალხი. მათ აღფრთოვანებდა წმიდა რისხვა. მათ ამოძრავებდა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული. ისინი ბრძოლაში მიჰყავდა ლენინ-სტალინის პარტიას.

დამპყრობთა წინააღმდეგ, ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლებში იზრდებოდა წითელი არმიის ძალა და ოსტატობა, მტკიცდებოდა მისი მამაცობა. ლენინ-სტალინის პარტია მის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი გახდა. და როდესაც გაიფანტა თოფისწამლის კვამლი, რომელშიც მთელი რიგი წლების განმავლობაში გახვეული იყო საბჭოთა მიწა-წყალი, ბრძოლებში გამოწრთობილი წითელი არმია გამარჯვებული დარჩა. მან ალგავა თავის გზაზე საზიზღარი დამპყრობნი.

წითელი არმიის ძალას მაშინ შეადგენდა და ახლაც შეადგენს საბჭოთა მთავრობის სწორი პოლიტიკა, რომელიც შეესაბამებს ხალხის საარსებო ინტერესებს. წითელი არმიის ძალას წარმოადგენს მისი ერთგულება ხალხისადმი, ის, რომ იგი ხალხის პირმშოა, ხალხს უყვარს იგი და ეხმარება მას მთელი თავისი ძლიერებით. წითელი არმიის ძალა ის არის, რომ მას მტკიცე. საამედო ზურგი აქვს. წითელმა არმიამ იცოდა მაშინ, იცის ახლაც, რომ ეწევა სამართლიან წმიდა ბრძოლას,— აქედან გამომდინარეობს წითელი არმიის მასობრივი გმირობა, მისი ურიცხვი საგმირო საქმე.

წითელი არმიის ძალა ის იყო და არის, რომ ფრონტისა და ზურგის ხელმძღვანელ ბირთვს წარმოადგენს ბრძოლებში გამოწრთობილი ბოლშევიკების პარტია, რომელიც აღჭურვილია საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ნდობით. საბჭოთა, სახალხო დროშით, ლენინ-სტალინის დროშით ჩვენი საბჭოთა სამშობლო გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიდის.

წითელი არმია გამარჯვებული გამოვიდა უაღრესად მკაცრ განსაცდელთაგან, როგორიც არ ახსოვს ომების ისტორიას. ეყრდნობა რა მძლავრ საბჭოთა ზურგს, ეყრდნობა რა მთელი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო მხარდაჭერას, წითელი არმია სამამულო ომის უდიდეს ბრძოლათა მსვლელობაში კიდევ უფრო გამოიწრთო, განმტკიცდა, უძვირფასესი საბრძოლო გამოცდილება შეიძინა და საუკუნო უკვდავი სახელი მოიხვეჭა.

სამხედრო საქმის სტალინურმა მეცნიერებამ შეჰქმნა წითელი არმიის ლევამოსილი სტრატეგია, გამოზარდა შესანიშნავი, ნიჭიერი საბჭოთა გენერლებისა და ოფიცრების კადრები, სუვოროვული ტრადიციები შეუერთა გამარჯვების ბოლშევიკურ მეცნიერებას.

წითელი არმიის ძალას შეადგენს თანაგრძნობა, რომლითაც იგი გარემოსილია, გმირული ბრძოლა პარტიზანებისა, რომელნიც ზურგს უფეთქებენ მტერს. წითელი არმიის მეომარმა იცის, რომ მასთან არის მისი ხალხი, მასთან არიან ყველა სხვა ხალხებიც, რომელთაც ჩაგრავენ საზიზღარი დამპყრობლები, გერმანელი მტაცებელი იმპერიალისტები.

გერმანიის არმია ყოყოჩობდა თავისი ნაქები ძლიერებით. ჰიტლერელები ბერავდნენ გერმანიის არმიის უძლეველობის ყალბ მითს. გერმანელები უმაღალითო, უსაზიზღრეს მხეცობას სჩადიოდნენ და სჩადიან, ფიქრობენ რა, რომ მათ ყველაფერი შერჩებათ, რომ მტარვალთა დანაშაულობანი დაუსჯელი დარჩება. მოსტყუვდნენ გულმოდგინენ მტრები. წითელ არმიას გმირულ ბრძოლებში ემატებოდა ძალა, იგი იძენდა გამოცდილებას, სწავლობდა, ეუფლებოდა სამხედრო ოსტატობას. საბჭოთა ხალხმა გმირული, დაუცხრომელი შრომით პირველხარისხოვანი საბრძოლო იარაღი მისცა თავის წითელ არმიას. წითელი არმია რისხვა გახდა ჰიტლერელ მძარცველთათვის.

სამამულო ომის ბრძოლებში თაობათა ბედი სწყდება. მტარვალი გერმანელები ელტვიან საბჭოთა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობას. ისინი ხოცავენ არა მარტო მოზრდილთ, სრულიად უდანაშაულო მშვიდობიან მცხოვრებთ,—ქალებს, მოხუცებს, ისინი მხეცურად ხოცავენ საბჭოთა ბავშვებს, ძუძუთა ბავშვებს. მათ სურთ ძირფესვიანად მოშალონ საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრება.

თავიანთი ძალებისათვის შეუფერებელი ამოცანა დაისახეს წყეულმა ყაჩაღებმა. გიჟურია გერმანელ მტარვალთა სისხლისმღვრელი წამოწყება. მოსკოვთან, სტალინგრადთან, ორიოლთან და კურსკთან, მრავალ ისტორიულ ბრძოლაში გამანადგურებელი დარტყმები იგემა ჰიტლერულმა არმიამ. საბჭოთა მეომრების დარტყმების გაძო ჰიტლერელი ქვეწარმავლები გარბიან დასავლეთისაკენ, თავიანთი ყაჩაღური ბუნაგისაკენ. შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ წითელმა არმიამ და ჩვენი მოკავშირეების არმიებმა გადამწყვეტი და საბოლოო გამარჯვება მოიპოვონ. ომი საბოლოო დასასრულს უახლოვდება.

ახლა საქმე ეხება საბჭოთა მიწა-წყლიდან გერმანელ დამპყრობთა სრულ განდევნას და იმას, რომ მოისპოს ფაშისტური „ახალი წესრიგი ევროპაში“, საქმე ეხება ფაშისტ დამნაშავეთა სამართლიან და მკაცრ დასჯას.

გუშინ რადიოთი საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობიდან ჩვენმა ქვეყანამ შეიტყო საბჭოთა იარაღის ახალი შესანიშნავი გამარჯვების ამბავი. ამ დღეებში უკრაინის 1 ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და რადომიშლის სამხრეთით სერიოზული დამარცხება აგემეს გერმანელ ფაშისტ ყაჩაღებს. მტერმა დიდი რაოდენობით დაჰკარგა ბრძოლის ველზე ცოცხალი ძალა და ტექნიკა.

წითელ არმიას, რომელიც გმირულ ბრძოლებში გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიდის, დიდებისაკენ მიჰყავს თავისი სამშობლო. ეს დიდება მდგომარეობს ჩვენი სამშობლოს მაღალ და წმიდა ამოცანებში, იმაში, რომ ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალზე საბჭოთა დროშის, სახალხო დროშის ქვეშ ჰყავის ხალხთა მეგობრობა, ხალხთა პატნიერება, ხალხთა დიდება. ჩვენი სამშობლოს დიდება იმაშია, რომ იგი წარმოადგენს ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ურყევ დაცვას. ჩვენ ვამაყობთ, რომ წითელი არმია ის ძალა გახდა, რომელზეც დაიმსხვრა სისხლიანი და ბინძური ფაშისტთა ტალღა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა თვით საერთოსაკაცობრიო კულტურის არსებობას.

წითელი არმია და წითელი ფლოტი, ჩ[illegible] ქვეყნის ყველა ხალხი, მამაცი პარტიზანი კაცები და ქალები, რომელთაც შთააგონებს და ხელმძღვანელობს საყვარელი ბელადი და მხედართმთავარი — დიდი სტალინი, გმირულ, თავდადებულ ბრძოლას ეწევიან, სიცოცხლის არ ზოგავენ, რათა აღვავონ ჩვენს გზაზე საზიზღარი დამპყრობნი და საუკუნოდ უზრუნველჰყონ თაობათა ბედიღბალი, მძლავრი საბჭოთა კავშირის თავისუფალ ბედნიერ ხალხთა ბედ-იღბალი!

Славься, Отечество наше свободное,
Славы народов надёжный оплот!
Знамя советское, знамя народное
Пусть от победы к победе ведёт!

ალექსანდრე სერგის-ძე იაკოვლევისათვის საინჟინრო-საავიაციო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიენიჭოს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1942 წლის 22 იანვრის დადგენილებით დაწესებული სამხედრო წოდება საინჟინრო-საავიაციო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტისა ალექსანდრე სერგის-ძე იაკოვლევს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ი. სტალინი**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი **ი. ჩადაევი**

მოსკოვი, კრემლი. 1943 წლის 27 დეკემბერი.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ავსტრალიის დესპანი ბ-ნი დ. მალონეი

27 დეკემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ავსტრალიის კავშირის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი დ. მალონეი, მის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის, რწმუნებულ სიგელების მომავალ გადაცემასთან დაკავშირებით.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

26 დეკემბრის ოპერაციული ცნობიდან

ამ დღეებში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები არმიის გენერალ ვატუტინის სარდლობით შეტევაზე გადავიდნენ რადომიშლის სამხრეთით განლაგებული გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ და გაარღვიეს მოწინააღმდეგის ფრონტი 80 კილომეტრამდე მანძილზე და სიღრმით 40 კილომეტრამდე.

ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ბრეჩკოს, გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის, გენერალ-პოლკოვნიკ მოსკალენკოს, გენერალ-ლეიტენანტ ეშპაჩენკოს ჯარებმა და არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ კოროლკოვის არტილერისტებმა.

შეტევის სამი დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი რადომიშლი და ჟიტომირის ოლქის სამი რაიონული ცენტრი ბრუსილოვი, კორნინი, პოპელნია, აგრეთვე დიდი დასახლებული პუნქტები რუდნია, გუტა ზაბელოცკა, რაკოვიჩი, სტავიშჩე, ზაბელოჩიე, კოჩეროვო, ვისოკოე, მესტეჩკო, ვოიტაშევკა, პრიგოროტიე, ოზერიანი, ოსოვცი, ლაზარევკა, იუზეფოვკა, ვილნია, კარაბაჩინი, დუბროვკა, იასტრებენკა, ვოდოტი, მოროზოვკა, ხო

შრომის დისციპლინის განმტკიცება საწარმოო დავალებათა შესრულების საწინდარია

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლას თავიდანვე სათავეში ჩაუდგა ადგილობრივი საქარხნო პარტიული ორგანიზაცია (საქარხნო პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ნეფარიძე). სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადების, მანქანა-დანადგარების თუნდაც სულ მცირე ხნით გაცდენისა და საერთოდ შრომის დისციპლინის დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ ამის შესახებ პარტიულ კომიტეტს არ ჰქონოდა მსჯელობა და არ მიეღო ზომები ასეთი მოვლენების მომავალში თავიდან ასაცილებლად.

საამქროების პარტიული ორგანიზაციები და იქ მომუშავე კომუნისტები შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის მებრძოლთა ავანგარდში არიან. მთელმა ამ მუშაობამ უკვე მოგვცა დადებითი შედეგები და 1943 წლის მეორე ნახევრის მაჩვენებლების შედარება იმავე წლის პირველი ნახევრის მაჩვენებლებთან მოწმობს, რომ საგრძნობლად შემცირდა შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, რომ ახლა შრომის დისციპლინას მტკიცედ იცავენ არა მარტო ძველი, უკვე გამოცდილი კადრის მუშები, არამედ წარმოებაში ახალმოსულებიც.

განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს გვაძლევენ შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში ის საამქროები, სადაც გადასული არიან ნაკადური სისტემით მუშაობაზე. ნაკადური სისტემით მუშაობის უპირატესობა იმითაც გამომჟღავნდა, რომ თითოეული მუშა, რომელიც ნაკადზე მუშაობს, სისხლხორცეულად არის დაინტერესებული არ გააცდინოს არც ერთი წამი, რაც შეიძლება მეტად გაზარდოს საკუთარი შრომის ნაყოფიერება. ასეა, მაგალითად, იმ საამქროში, სადაც უფროსად არის ამხ. გ. სიმონიანი, ასევეა ამხ. დ. ჰეტრიაშვილის და მ. ერშოვის საამქროებში.

შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს აგრეთვე საბორბლე-სახარატო საამქროში (უფროსი ამხ. ს. ულიბეკოვი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ვ. ჯაგავი). აქ თითოეულ ბრიგადას, თითოეულ სტახანოველს სანიმუშოდ აქვს მოწყობილი თავისი სამუშაო უბანი. მუშები აქ წინასწარ ამზადებენ თავიანთ სამუშაო ადგილს, იმარაგებენ საჭირო ნედლეულსა და ხელსაწყო იარაღებს იმ ვარაუდით, რომ მუშაობას დაწყების შემდეგ უნაყოფოდ არ დაკარგონ არც ერთი წუთი. შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის ფართოდ გაშლამ საამქროს კოლექტივს გაუადვილა მიმდინარე საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულება და ამის გამოა, რომ სექტემბრიდან მოკიდებული, აღნიშნულ საამქროს სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული აქვს პირველობა და დღემდე ინარჩუნებს საკავშირო პროფსაბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალ დროშას.

შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლამ ხელი შეუწყო აგრეთვე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ამის საუკეთესო ნიმუშებს გვაძლევს საელმავლო საამქროს კოლექტივის მუშაობა (საამქროს უფროსი ინჟ. ვ. გოცირიძე). გარდა იმისა, რომ შრომის დისციპლინის განმტკიცების შედეგად აქ ვადაზე ერთი თვით ადრე და გადაჭარბებით შეასრულეს წლიური საწარმოო დავალება, მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს პროდუქციის ხარისხიც.

ახლა ქარხანაში მიმდინარეობს შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი შემოწმება. მოწინავე მუშებს და ინჟინერ-ტექნიკოსებს ამ ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით შეტანილ ინდივიდუალურ, რომელთა განხორციელების შედეგად შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმე 1944 წელს ახალ საფეხურზე იქნება აყვანილი.

დ. ამირანიძე

კასპელმა მეცხემენგეებმა დეკემბრის დავალება უკვე შეასრულეს

სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა დეკემბრის საწარმოო დავალება ვადაზე რამდენიმე დღით ადრე 102,2 პროცენტით განაღდა. მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლები მოგვაცეს დაფქვის საამქროს მუშებმა: ა. პავლიაშვილმა, ა. ნიპარიშვილმა, გ. ბაინდურაშვილმა, ა. კოზარიმ და შ. ბაინდურაშვილმა, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას 110-150 პროცენტით ანაღდებენ.

ვ. გუზალაძე

თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კომკავშირულ ორგანიზაციათა აქტივის კრება

20 დეკემბერს შესდგა თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კომკავშირულ ორგანიზაციათა აქტივის საქალაქო კრება, რომელშაც განიხილა საკითხი უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კომკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ. მოხსენებით გამოვიდა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ა. შენგელია.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც სამამულო ომის დღეებში დგას უმაღლესი სასწავლებლების, კერძოდ მათი კომკავშირული ორგანიზაციების, წინაშე. როგორც მან აღნიშნა, თბილისის მთელმა რიგმა უმაღლესმა სასწავლებლებმა, რომლებიც იბრძვიან მაღალი აკადემიური წარმატების მოსაპოვებლად, თვალსაჩინოდ გაზარდეს მოსწრების პროცენტი. ამ მხრივ კარგად იმუშავეს სტომატოლოგიური, სატრანსპორტო, როსტოვის საინჟინრო ინსტიტუტების კოლექტივებმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. ამასთანავე მომხსენებელმა გააკრიტიკა თბილისის სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც სუსტად იბრძვიან სტუდენტთა აკადემიური წარმატებისათვის, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სოციალისტური შეჯიბრების საკითხებს. მომხსენებელი აგრეთვე შეეხო სტუდენტთა შორის სამეცნიერო მუშაობას და აღნიშნა, რომ დარგში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კიროვის სახელობის ინდუსტრიული და ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების ნაყოფიერი მუშაობა.

მომხსენებელმა აქტივის კრების ყურადღებას გაამახვილა იმ მუშაობაზე, რომლის ჩატარება მოუხდებათ უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირულ ორგანიზაციებს იანვრის სესიების წარმატებით დამთავრებისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირული კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ქვარცხავამ აქტივს მოუთხრო იმ მუშაობაზე, რასაც ატარებს უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია მაღალი აკადემიური წარმატების მოსაპოვებლად, სტუდენტთა შორის სამეცნიერო მუშაობის გასაღრმავებლად. გასულ წლებან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა სტუდენტთა აბსოლუტური მოსწრება, სწავლაში ავანგარდულ როლს ასრულებს კომკავშირული აქტივი. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის კომკავშირულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ საგრძნობი ნაკლი აქვს მუშაობაში. არის საგნების დავალიანება, კომკავშირელი სტუდენტების ნაწილს საგნები ჩაუბარებელი აქვს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მ. რუბინშტეინმა, ზ. თელიამ, გ. ცხვედაძემ, მასიცამ, ძ. მოწურელიამ, ჯაფარიძემ, მასლოვმა, ლ. ბაიაღჩევმა, შ. ნემსაძეს.

აქტივის კრებამ მოსმენილ საკითხზე მიიღო სათანადო რეზოლუცია.

კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ჩერქეზია და საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ბალაგაძე.

გეგმების შესრულება

ბათუმის რაიონმა 23 დეკემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა.

თამბაქოს ჩაბარება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი
ვ. სანიკიძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
ვ. ყურაშვილი

* * *

აბაშის მტს-მა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე 1943 წლის სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა ვადაზე ადრე 115,7 პროცენტით შეასრულა, პირობით ხვნაზე გადაყვანით ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.540 ჰექტარისა დამუშავა 5.255 ჰექტარი. გეგმის შესრულებაში თავი ისახელეს მეორე (ბრიგადირი რ. ბოკერია), მესამე (ბრიგადირი გ. ჭანტურაია), მეოთხე (ბრიგადირი გ. თაკვარელია) და მეხუთე (ბრიგადირი შ. ბოკუჩავა) სატრაქტორო ბრიგადებმა, აგრეთვე ტრაქტორისტებმა ი. მიგინეიშვილმა, ერ. გვალიამ, ს. ჯალაღონიამ, ს. ბოკუჩავამ და სხვ.

მტს-მა ტრაქტორების და მისაბმელი ინვენტარის სათადარიგო ნაწილების დამზადებისა და აღდგენის 1943 წლის გეგმა 1 დეკემბრისათვის 131 პროცენტით შეასრულა, დამზადებულია და აღდგენილია 31.000 ჰანეთის სათადარიგო ნაწილები. ოქტომბერსა და ნოემბერში შეკეთებულია 12 ტრაქტორი, გეგმის 100 პროცენტი.

მტს-ის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ დანარჩენი ტრაქტორები და მისაბმელი ინვენტარი ვადაზე ადრე მაღალხარისხოვნად შეაკეთოს და 1944 წლის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს.

აბაშის მტს-ის დირექტორი ბ. ბაკურია

ბათუმის რაიონმა დეკემბრის ვალდებულება 23 დეკემბერს შეასრულა

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი მნიშვნელოვანი წარმატებებით ხვდება ახალ წელს. მეურნეობამ 26 დეკემბრისათვის ტუნგოს ნაყოფის კრეფის გეგმა 130 პროცენტით შეასრულა. ჩაის პლანტაციის მიმდინარე და კაპიტალური რემონტის გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით, პლანტაციების სეზონამდინო გადაბარვისა—140 პროცენტით, ზამთრის ბოსტნეულის გაშენებისა—100 პროცენტით. შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში წინ არიან მეურნეობის მესამე და მეოთხე განყოფილებები (უფროსები—ცაავა და ტორჩინავა).

დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობის
დირექტორი გოგია

* * *

ცხაკაია („კომუნისტის“ საკ. კორ.). ცხაკაიას ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა 1943 წლის გეგმები ვადაზე ერთი თვით ადრე გადაჭარბებით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცეს 704.600 მანეთის მზა პროდუქცია.

წლიური საწარმოო გეგმები ვადაზე ერთი თვით ადრე გადაჭარბებით შეასრულეს ხეტყის მრეწველობამ (დირექტორი დ. ჯალაღონია), ღვინო-არყის ქარხანამ (დირექტორი კ. აფხაზავა), საპნის ქარხანამ (დირექტორი ალ. გახარია) და ლიმონათის ქარხანამ (დირექტორი კ. ლომია).

ს. კუჭავა

საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის ქალაქკომის პლენუმი

სოხუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). 21 დეკემბერს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის ქალაქკომის მორიგი პლენუმი, რომელშაც განიხილა ორი საკითხი: 1) ამხანაგ **სტალინის** წიგნის—„საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ — შესწავლის მიმდინარეობის შესახებ; 2) ქალაქ სოხუმის კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლის მიმდინარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის ქალაქკომის მდივანმა ამხ. ი. გაბისონიამ. კამათში მონაწილეობა მიიღო 7 ამხანაგმა, მათ შორის სოხუმის ლ. პ. ბერიას სახელობის პედინსტიტუტის დირექტორმა ამხ. რ. წულუკიძემ, პროპაგანდისტმა ა. ლოგუამ, პარტკაბინეტის გამგემ პ. მანიამ და სხვ.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ქალაქის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლისათვის თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარეს. სულ შექმნილია 51 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 1.000-ზე მეტი მსმენელი. 1.512 ამხანაგი, ძირითადად პარტიული, საბჭოთა აქტივისტები, ინტელიგენცია დამოუკიდებლად სწავლობს ბელადის წიგნს. წრეების უმრავლესობა კარგად მუშაობს და ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლას ფართოდ უკავშირებს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლას. იქ, სადაც კარგად სწავლობენ დიდი ზელადის წიგნს, თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევენ მუშაობაში. წრეებს შორის განსაკუთრებით სერიოზული და გულმოდგინე მუშაობას კარგ ნიმუშებს გვიჩვენებენ კავშირგაბმულობის აფხაზეთის განყოფილების წრე, სოხუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის წრე და ა. შ.

პლენუმზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული აგიტაცია-პროპაგანდის დარგში არსებული ნაკლოვანებები. კერძოდ, გაკრიტიკებულ იქნა ქალაქკომის პლენუმის წევრი, თამბაქოს ფაბრიკის დირექტორი პ. კარინი და პლენუმის წევრობის კანდიდატი, საკონსერვო ქარხნის დირექტორი ს. ბეანია, ვინაიდან ამ საწარმოებში თითქმის ჩაშლილია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. მაგალითად, საკონსერვო ქარხანაში წრეს, რომელსაც პროპაგანდისტი ბუხარი ხელმძღვანელობს, აქამდე არ დაუწყია მეცადინეობა, ხოლო ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ბესელია სრულიად ეპასუხისმგებლოდ ეკიდება ამ საქმეს.

ამხანაგ სტალინის წიგნის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის პარტკაბინეტი ხშირად აწყობს ლექციებს, კონსულტაციებს. აქამდე ჩატარებულია 29 ლექცია, რომელთაც 5.503 კაცი დაესწრო. მაგრამ პლენუმმა აქვე საჭიროდ სცნო აღენიშნა, რომ პარტკაბინეტი ჯერ კიდევ მოწყვეტილია ქალაქის მთელ რიგ საწარმოებს, მასებში არ გადაადგმია თავისი მუშაობა.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე პლენუმზე მოისმინა მოხსენება ამხანაგ თ. ციკოლიასი, საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივნისა კადრების დარგში. მისი მოხსენების გარშემოც საქმიანი კამათი გაიშალა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების მდივანი ამხ. ა. მგელაძე, რომელმაც დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლის ბოლშევიკური ორგანიზაციის ცალკეულ საკითხებზე და აგრეთვე მიუთითა კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების ამოცანებზე.

პლენუმმა სათანადო ღონისძიებანი დასახა შემდგომი მუშაობის გასაძლიერებლად.

დეპეშები

იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საბრძოლო მოქმედება

ჟენევა, 26 დეკემბერი (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები გაფფრებულ ბრძოლებს ეწევიან მტრის წინააღმდეგ ქალაქების კლადანისა და ყინინიცეს რაიონში. გერმანელთა ერთ დივიზიას იერიშები მიაქვს სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილთა პოზიციებზე და ცდილობს გაიჭრას ქალ. კლადანისკენ.

გაფფრებული ბრძოლები გრძელდება ლივნო-დუბნოს სექტორში. ჰიტლერელებს გამოჰყავთ მაშველი ძალები და ცდილობენ გაიჭრან ქალაქების კუბრესისა და ბუგორინოსკენ. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ მტერს და დიდ ზარალს აყენებენ მას.

სანჯაყში გრძელდება სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილთა შეტევითი ოპერაციები. მათ დაიკავეს ბროდარიოვო, პოპოვაჩის მახლობლად ზაგრებ-ბელგრადის ხაზზე აიფეთქეს გერმანელთა მატარებელი. მოსპობილია ორთქლმავალი და ხუთი ვაგონი. დაზარალებულია ხიდი და 3,5 კილომეტრი რკინიგზის ვაკისი კოპრივნიცის მახლობლად. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა, რომელნიც ჰერცეგოვინაში მოქმედებენ, დაიკავეს ავტოვაკი. მტერს დიდი ზარალი მოსდის.

ჟენევა, 27 დეკემბერი (საკდესი). იუგოსლავიიდან მიღებული ცნობებით, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები წინააღმდეგობრივად ინარჩუნებენ ინიციატივას სამარი მოქმედების ყველა სექტორში.

აღმოსავლეთ ბოსნიაში კლადანსა და ყინინიცას შორის გაფფრებული ბრძოლები გრძელდება. სანჯაყში იუგოსლავთა ნაწილებმა წინ წაიწიეს. დუბნო-ლივნოს სექტორში გაფფრებული ბრძოლები გრძელდება.

ამერიკელთა ჯარები გადასხდნენ კუნძულ ახალ ბრიტანეთზე

ლონდონი, 27 დეკემბერი (საკდესი). მოკავშირეთა წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის შეიარაღებულ ძალთა გაერთიანებული სარდლობის შტაბი იუწყება, რომ დღეს ამერიკის მე-5 არმიის ფრონტის ცენტრალურ უბანზე მოკავშირეთა ჯარებმა იერიშით აიღეს ორი დიდმნიშვნელოვანი მაღლობი.

გუშინ მოკავშირეთა საშუალო ბომბდამშენების დიდი შენაერთები თავს დაესხნენ პრატოს, რკინიგზის კვანძ პისტოიას და დიდმნიშვნელოვან პუნქტ ემპოლის ფლორენციის რაიონში. წინასწარი ცნობების თანახმად, დასახული ობიექტები დაზიანებულია ბომბებით.

სომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 27 დეკემბერი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ იტალიის ფრონტის მთელ მანძილზე ძლიერი წვიმები ხელს უშლიდა დიდი მასშტაბის ოპერაციების ჩატარებას. ორტონაში გრძელდება გაფფრებული ბრძოლა. ქუჩები ზედიზედ იწმიდება მტრისაგან. ინდოელთა ჯარებმა საბოლოოდ ჩაიგდეს ხელში პუნქტი ვილავრანდე. ამასთან მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მიაყენეს და ტყვეები წამოიყვანეს.

იტალიის საკითხთა საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის შესახებ

ალჟირი, 25 დეკემბერი (საკდესი). იტალიის საკითხთა საკონსულტაციო საბჭოს მე-4 სხდომასთან დაკავშირებით ქვეყნდება შემდეგი კომუნიკე:

„იტალიის საკითხთა საკონსულტაციო საბჭოს 24 დეკემბერს მეოთხე სხდომა ჰქონდა ალჟირში ჰაროლდ მაკმილანის თავმჯდომარეობით, დასწრნენ: საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ა. ი. ვინინსკი, საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენელი რ. მასიგლი და შეერთებული შტატების წარმომადგენელი რობერტ მერფის არყოფნისას გ. რეინჰარდტი. საბჭომ განიხილა იტალიის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. საბჭოს სხდომის დასარჩენი ნაწილი მიეძღვნა მომდინარე საქმეთა განხილვას“.

დასავლეთ ნახევარსფეროს პოლიტიკური თავდაცვის საგანგებო საკონსულტაციო კომიტეტის გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი, 26 დეკემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, დასავლეთ ნახევარსფეროს პოლიტიკური თავდაცვის საგანგებო საკონსულტაციო კომიტეტმა ურჩია ამერიკის ომ ქვეყნების მთავრობებს, რომლებმაც ომი გამოუცხადეს ღერძის სახელმწიფოებს ან ურთიერთობა გასწყვიტეს მათთან, არა სცნონ ურთიერთი კონსულტაციის გაუმართავად ამერიკის კონტინენტზე არავითარი მთავრობა, „რომელიც კი ხელისუფლებას უცრად ან მოულოდნელად დაიპატრონა“. სააგენტო ფიქრობს, რომ კომიტეტმა განიხილა ბოლივიის ახალი მთავრობის ცნობის საკითხი.

გაზეთი „ობსერვერი“ ფაშიზმის საფრთხის შესახებ

ლონდონი, 26 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გაზეთი „ობსერვერი“ მოწინავეში აცხადებს, რომ ფაშიზმის საფრთხე — არსებითად, და არა სახელწოდებით — ფრიად ძლიერი რჩება.

„ამჟამად, — აღნიშნავს გაზეთი, — მთელ ევროპაში მომზადებულია ნიადაგი იმ შალმის თესლისათვის, რომელიც ბრწყინვალე მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ჩვენ შევძლებთ ძალით ჩავაწოთ ფაშიზმის თუ ნაციზმის აღორძინების ყოველგვარი ცდა. მეფობრულ ქვეყნებში ჩვენ მიერ ძალის გამოყენებაზე